ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ფრაქცია ,,ნაციონალური მოძრაობა- თბილისი"-ს წევრების:

1. სევდია უგრეხელიძის
2. ირაკლი აბესაძის
3. თამაზ შოშიაშვილის
4. მამუკა ახვლედიანის
5. თემურ გრიგალაშვილის
6. ირაკლი ნადირაძის
7. მარინა დათუკიშვილის

2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ,,ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა თბილისი"-ს წევრებმა 2016 წლის

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსული რეგისტრაციის 9 შემოსული
№10/17634 10/17645 10/17642 04.10.16

31 ოქტომბერს ქ. თბილისში, პეკინის გამზირი #34 გამართეს საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და წარუდგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხეს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს და მოისმინეს მათი წინადადებები სამომავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციებში მონაწილეობის შესახებ.
(1.01.16-20.10.16)

---

1. სევდია უგრეხელიძე

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 21 სხდომაში;
საკრებულოს ბიუროს 21 სხდომაში;
ფრაქციის 15 სხდომაში;

- ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 3 სხდომაში;
- განათლებისა და კულტურის კომისიის 8 სხდომაში.

2. ირაკლი აბესაძე

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 18 სხდომაში;
საკრებულოს ბიუროს 18 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში;

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 4 სხდომაში.
- იურიდიულ საკითხთა კომისიის 11 სხდომაში.

3. თამაზ შოშიაშვილი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 18 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში;

- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 22 სხდომაში
- სარევიზიო კომისიის 10 სხდომაში

4. მამუკა ახვლედიანი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 14 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში
- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 16 სხდომაში
- გარემოს დაცვის კომისიის 14 სხდომაში.

5. თემურ გრიგალაშვილი
მონაწილეობა მიიღო:
საკრებულოს 10 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში;
- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 15 სხდომაში
- სარევიზიო კომისიის 9 სხდომაში

6. ირაკლი ნადირაძე
მონაწილეობა მიიღო:
საკრებულოს 18 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 10 სხდომაში.
- განათლებისა და კულტურის კომისიის 9 სხდომაში.

7. მარინა დათუკიშვილი
მონაწილეობა მიიღო:
საკრებულოს 20 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში;
- ჯანმრთელობის დაცვისა სოციალურ საკითხთა კომისიის 12 სხდომაში
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 10 სხდომაში.

ინფორმაცია ფრაქციების გაწეული საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ

ფრაქციების ინიციატივით მომზადდა შენიშვნები, პროგრამები და წინადადებები 2016 წლის ბიუჯეტის შედგენისას.

1. საბავშვო ბაღების აღმზრდელებისა და აღმზრდელების თანაშემწეებისთვის; ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მძღოლების, მემანქანეების, კონტროლიორების, ოსტატებისა და მუშებისთვის; ,,თბილსერვის ჯგუფის" მძღოლების, მძღოლების დამხმარე მუშების, დამგველებისა და სპეც მორიგეებისთვის; ,,სინათლის ქალაქის" ოსტატების, მძღოლების, მონტიორებისა და მხერხავებისთვის; ასევე თბილისის მერიის სისტემაში შემავალი კერძო სამართლის იურიდიული პირების სხვა ტექნიკური პერსონალისთვის (არა ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი პირებისა და მენეჯერებისთვის), რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ძალიან მნიშვნელოვან სერვისებს აწვდიან მოქალაქეებს, ხელფასის გაზრდა 20%-ის ოდენობით - ჩამოთვლილი პროფესიის ადამიანები ყოველდღიურად ერთის მხრივ, ძალიან მძიმე და მეორეს მხრივ, თბილისელებისთვის აუცილებელ, სასარგებლო შრომას ეწევიან. მათი ანაზღაურება კი ძალიან მცირე, ხოლო თუ დღევანდელ დამძიმებულ ყოფას გავითვალისწინებთ, აბსოლუტურად შეუსაბამოა მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან. მაგალითად, ბაგა-ბაღის ათასხუთასამდე აღმზრდელის ხელფასი მხოლოდ 600 ლარია (ამასთან ბევრი მათგანი ნახევარ განაკვეთზე მუშაობს და მათი ხელფასი საშუალოდ 300 ლარია), ქალაქის ორი ათასზე მეტი დამგველის ხელფასი მხოლოდ 500 ლარია, ავტობუსების მძღოლების ხელფასი საშუალოდ 1 150 ლარია (თუმცა ტექნიკურად გაუმართავი ავტობუსების გამო, მათ მიერ ნამუშევარი დრო და შესაბამისად ანაზღაურებაც ხშირად ნაკლები გამოდის). ეს მაშინ, როდესაც თბილისის მერად გახდომისთანავე, თქვენი გადაწყვეტილებით მერის აპარატის უფროსის და მერის მოადგილეების აპარატის უფროსების ყოველთვიური დანამატი გასამმაგდა და თვეში 1 700 ლარით განსაზღვრა (მანამდე არსებული 510 ლარის ნაცვლად); თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით პირადად თქვენი, მერის პიარის საწარმოებლად შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა პიროვნება, რომლის ხელფასი თვეში 5 625 ლარით განისაზღვრა (გარდა ამ ადამიანისა მერიის პიარზე ათობით შტატში მყოფი თანამშრომელი ,,ზრუნავს"); კვლავ უნდა შეგახსენოთ,

ყოფილი ვიცე-მერის მარგიშვილისთვის ,,პენსიის" სახით თბილისის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გადახდილი 5 400 ლარი (საიდანაც 2 700 ლარი სახელფასო დანამატია); 2014 წელთან შედარებით თქვენი მერად გახდომის შემდეგ თბილისის მერიის სისტემაში მომუშავე ადამიანების რიცხოვნობა ხელოვნურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე 512 ერთეულით გაიზარდა და თითქმის ყველგან ,,ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული პირები, თქვენი არაკვალიფიციური მეგობრები და ნათესავები დასაქმდნენ - ეს მცირე ჩამონათვალია ჩინოვნიკებისთვის გადახდილი გაუმართლებლად მაღალი ხელფასისა და სახელფასო დანამატების, რომლებიც რამდენჯერმე აღემატება ზემოთჩამოთვლილი ადამიანების შრომის ანაზღაურებას. მოგიწოდებთ მომავალი წლიდან ხელფასი გაეზარდოთ და ვიზრუნოთ არა ისედაც მაღალანაზღაურებად ჩინოვნიკებზე, რომლებმაც გასული ერთი წლის განმავლობაში თბილისში ყველა მიმართულებით უმძიმესი მდგომარეობა შექმნეს, არამედ ადამიანებზე, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ დედაქალაქზე, უვლიან ბავშვებს, ასუფთავებენ ქალაქს, გადაყავთ მგზავრები და ასე შემდეგ. ამისათვის თბილისის ბიუჯეტიდან დამატებით დაახლოებით 25 000 000 ლარი იქნება გამოსაყოფი.

2. 70 000 სარეიტინგო ქულამდე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერგიის გამვირების გამო ფასნამატის კომპენსირება 12 თვის განმავლობაში - ,,ქართული ოცნების" ერთ-ერთი ტყუილი დაპირების მიუხედავად, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფი მნიშვნელოვნად გაიაფდებოდა, 2015 წლის სექტემბერში ის გაიზარდა და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, დამატებით ტვირთად დააწვა. პირველივე დღეებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, თბილისის მერის მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 ქულამდეა, ვერ იგრძნობდნენ ამ გამვირების უარყოფით შედეგებს, რადგან მოხდებოდა ბიუჯეტიდან მისი კომპენსირება. 2015 წლის 4 ნოემბერს თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, ამ კატეგორიის ოჯახებს იმ ხუთი თვის განმავლობაში (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი), როდესაც გაიცემა კომუნალური ვაუჩერი, აღარ მიეცემათ დამატებით კომპენსაცია ელექტროენერგიის ტარიფის ზრდის გამო, რომელიც თვეში 12 ლარის ოდენობით განსაზღვრა თავად მერიამ.
მოსახლეობის ამ ყველაზე გაჭირვებული ფენის ხარჯზე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა (დაახლოებით 2 300 000 ლარი) და ზამთრის თვეებში მათთვის ამ კომპენსაციის მიცემაზე უარის თქმა, აბსოლუტურად გაუმართლებელია. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ერთის მხრივ შენარჩუნდეს კომუნალური ვაუჩერი იმ ოდენობით, რამდენიც ის ტარიფის ზრდამდე განისაზღვრა და ამ კატეგორიის სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის დამატებით გაიცეს კომპენსაცია გაზრდილი ფასის კომპენსირებისათვის.

3. მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობა 70000 სარეიტინგო ქულამდე სოციალურად დაუცველების, პენსიონერების, პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის - შეგახსენებთ, რომ აღნიშნულს ჩვენ 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისასაც ვითხოვდით. ჩვენი შეთავაზების პასუხად, უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ მხოლოდ საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს (გაუგებარია მათი განსხვავება სკოლის პედაგოგებისგან) და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ თბილისში მცხოვრებ ყოფილი პატიმრების სტატუსის მქონე პირებს. ეს უკანასკნელი ნამდვილად ცინიკურ დამოკიდებულებას წარმოადგენს საზოგადოების იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებისთვისაც ჩვენ ვითხოვთ შეღავათის განვრცობას. სწორედ ახლა მნიშვნელოვანია და შესაძლებელია კიდევ მეტი შეღავათი მიეცეთ ადამიანების ამ ჯგუფებს, რომელთა შემოსავალი გაუარესებული ცხოვრების დონის გამო ვეღარ ფარავს მათ საარსებო ხარჯებს. ამ მიზნით ბიუჯეტიდან დამატებით მხოლოდ 10 000 000 ლარის გათვალისწინება იქნება საჭირო.

4. პრობლემები შეიქმნა ქალაქის ინფრაქსტრუქტურის განვითარების თვალსაზრისთაც, რამაც პირდაპირი ასახვა ჰპოვა ქალაქში სატრანსპორტო მოძრაობის მნიშვნელოვნად დამძიმებაზე. შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასრულების (მაშინ როდესაც სამუშაოების 80% დასრულებულია) უმიზეზოდ და უვადოდ გადადებამ, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის (სამტრედიის ქუჩასთან) მშენებლობაზე უარის თქმამ ფაქტიურად დედაქალაქს განვითარების პერსპექტივა მოუკლა. განსაკუთრებით მწვავედ ეს გადაწყვეტილებები აისახა საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებაზე, რაც დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის აუტანელ საცობებს ქმნის. ინფრასტრუქტურული პროექტების გაჩერება (რომელთა განხორციელება ხელისუფების ცენტრალური ორგანოების ვალდებულებაა, რასაც ჩვენ ძალიან მწვავედ დავაყენებთ მათ წინაშე) და ამ მიმართულებით ახალი ნაბიჯების გადაუდგმელობა განხორციელებული წარმატებული პროექტების შედეგებსაც ამცირებს. 2015 წელი ამ თვალსაზრისით თბილისისთვის სრულიად დაკარგულია, ათეულობით მილიონი ლარი გაიფლანგა გზების მიმდინარე შეკეთებაზე და არცერთი სატრანსპორტო კვანძი, სადაც მოძრაობა განსაკუთრებით გართულებულია, არ მოწესრიგებულა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. შესაბამისად, ქალაქის საცობებისგან განსატვირთავად აუცილებელია მინიმუმ შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

წყნეთი-სამადლოს დამაკავშირებილი საავტომობილო გზის აღდგენა, თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების გადაკვეთაზე საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა ესტაკადით; გივი კარტოზიას ქუჩის ბახტრიონის გვირაბის თამარაშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი უსახელო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა; ვერის ხეობიდან გამომავალი ახალი

მაგისტრალის გვირაბით დაკავშირება გმირთა მოედანზე არსებულ, ლაგუნასკენ მიმავალ გვირაბთან; სარაჯიშვილის ქუჩის (ვაშლიჯვარი) მარშალ გელოვანთან დაკავშირება ესტაკადით; მარშალ გელოვნის მოედანზე (ვეფხვი და მოყმესთან) საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (გვირაბით); სააკაძის მოედანზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა გვირაბით; უნივერსიტეტის ქუჩის და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა; კოჯრის გზატკეცილის დაკავშირება (თაბორის მთის გავლით) გორგასალის ქუჩასთან (ახალი გზის მოწყობა); გალაქტიონის ხიდის მარცხენა მხარეს (უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ასასვლელი) პანდუსის მოწყობა; შეშელიძის და გობრონიძის ქუჩის კვეთასთან მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (მუხიანიდან მოძრავი მანქანებისთვის); მდინარე მტკვარზე მარნეულის და რუსთავის გზატკეცილის ქვემო სამგორთან დამაკავშირებელი ხიდის აშენება - ეს ჩამონათვალია ნაწილი იმ სატრანსპორტო კვანძების, სადაც განსაკუთრებით მწვავეა სატრანსპორტო საცობების პრობლემა. შესაბამისად აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ყველა ამ კვანძის პროექტირების ხარჯი და ასევე თანხა მშენებლობისთვის, რომელთა აშენება მომავალ წელს უკვე შესაძლებელი იქნება.

5. იაფი ცხელი წყლითა და გათბობით მოსახლეობის უზრუნველყოფის პროგრამა - ეს სისტემა, რომლის საპილოტე ვარიანტი უკვე განხორციელდა, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში მხოლოდ მზის ბატარეების გამოყენებით, ბუნებრივი აირის გარეშე, უზრუნველყოფს ცხელი წყლის მიწოდებას, ხოლო წელიწადის დანაჩენ პერიოდში (ძირითადად ზამთრის განმავლობაში) 30 პროცენტით ამცირებს ბუნებრივი აირის ხარჯს. შესაბამისად, ამ სისტემის დანერგვით მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მაცხოვრებელ ოჯახებს კომუნალურ ხარჯებს მნიშვნელოვნად შეუმცირებს. მნიშვნელოვანია ამავდროულად, რომ საქართველოს პრემიერმა, მიუხედავად უკვე არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და ჩვენი შეთავაზებისა, თბილისის მერს თავადაც დაავალა ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით თბილისის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს თანხები, როგორც ცალკე პროგრამის სახით, ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამაში ჩასართავად.
6. გარდა ზემოაღნიშნულისა მომავალ წელს მნიშვნელოვანია შემდეგი პროექტების განხორციელება: ევროპული სტანდარტის კომფორტული და ადაპტირებული ავტობუსების შეძენა, მიწისზედა პარკინგის სახლების მშენებლობა, მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაციის პროგრამის დასრულება, მედიათეკების მშენებლობა უბნებში, სადაც ის ჯერ არ არის და სხვა.

ფრაქციების წევრების მიერ ხშირად იმართებოდა ფრაქციების გაერთიანებული სხდომები და მუდმივად კეთდებოდა განცხადებები, თვალსაჩინოებისათვის პრეზენტაციებიც, თბილისის მთავრობის მიერ გამოვლენილი ტენდენციურობის, არაპროფესიონალიზმის, უუნარობის, ტენდერების (ანუ კონკურენტული ვაჭრობის) გარეშე ხელშეკრულებების გაფორმების, უკანონოდ განთავისუფლებული თანამშრომლებისა და თბილისის მთავრობის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა სახის დარღვევების შესახებ.

ზახგასმით აღინიშნებოდა, რომ ხდებოდა ,,სახელმწიფო შესყიდვების კანონის" მოთხოვნების შეუსრულებლობა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ვალდებულების უზრუნველყოფისა და ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარების უგულვებელყოფა, რაც განაპირობებდა თბილისის ბიუჯეტიდან ზედმეტად ასეულობით ათასი ლარის გაფლანგვა

<u>ფრაქციების მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივები</u>

2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით ფრაქციების მიერ მომზადდა ,, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების ორი პროექტი, რომელიც ეხებოდა იმ პირების (ოჯახების) დახმარებას რომლებიც სტიქიის ზონაში ცხოვრობდნენ ქირით და სტიქიის შედეგად მიადგათ ზიანი, ასევე იმ პირთა (ოჯახების) დაზარალებულად ცნობას რომლებიც ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს მათზე განთავსებული საცხოვრებელი სახლებით მაგრამ სტიქიის დროისთვის არ ჰქონდათ აღიარებული ამ ქონებაზე საკუთრების უფლება.
თბილისის საკრებულოს სხდომაზე არ იქნა დამტკიცებული ფრაქციების მიერ წარდგენილი არც ერთი პროექტი.
ფრაქციები კვლავაც გააგრძელებენ სტიქიით დაზარალებულთა ინტერესების დაცვას, რადგან მიგვაჩნია რომ სტიქიით დაზარალებული ყოველი პირის (ოჯახის) ინტერესი უნდა იყოს აღიარებული და დაცული მუნიციპალიტეტის მიერ.

<u>ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინანადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია</u>

ფრაქციების ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და ,,ნაციონალური მოძრაობა - თბილისის'' მიერ ამომრჩეველთა განცხადებებთან დაკავშირებით, სხვადასხვა საკითხებზე საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით მომზადდა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მიემართა 315 განცხადება/ შუამდგომლობით.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასვლითი ღონისძიებების სახით ხორციელდებოდა მოქალაქეებთან შეხვედრები.

ფრაქციებს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობას'' და ,,ნაციონალური მოძრაობა - თბილის"-ის წევრების მიერ საკრებულოს მუნიციპალიტეტის შენობაში კონსულტაცია/დახმარების გაწევის მიზნით მიღებული იქნა 330 მოქალაქე.

2016 წლის 31 ოქტომბერს ფრაქციების ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და ,,ნაციონალური მოძრაობა - თბილისის'' მიერ განხორციელდა ამომრჩევლებთან შეხვედრა და წლიური ანგარიშის წარდგენა.

1. სევდია უგრეხელიძე
2. ირაკლი აბესაძე
3. თამაზ შოშიაშვილი
4. მამუკა ახვლედიანი
5. თემურ გრიგალაშვილი
6. ირაკლი ნადირაძე
7. მარინა დათუკიშვილი